45. მანანა ტაბიძე, ქართული ენის ფუნქციონირების აღმნიშვნელი ტერმინები და ფრაზები ქართულ ისტორიულ-ლიტერატურულ თხზულებებსა და დოკუმენტებში // საენათმეცნიერო ძიებანი, 2003, #15
46. მანანა ტაბიძე, ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები დავით აღმაშენებლის ეპოქაში // საენათმეცნიერო ძიებანი, 2003, #15
47. მანანა ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005
48. გიორგი უძილაური, 2011 წელს საქართველოს მეორე სახელმწიფო ენა თურქული იქნება // ახალი თაობა, 01.02.2006
49. ტარიელ ფუტყარაძე, ეთნოლინგვისტური ტერმინები და ევროპული ქარტია უმცირესობათა ენების შესახებ, თბ., 2005
50. ტარიელ ფუტყარაძე, ქართული ენის ტექნოლოგიზირება: პირველი რიგის გადაუდებელი ამოცანები // ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, 2013, #2
51. ქართულენოვანი რეკლამა ძვირად+ფასად იქმნება // რეზონანსი, 02-03.03.1996
52. დალი ქვირია, „ასეთი შეტევა ქართულ ენაზე 1918 წლიდან არ ყოფილა“ // რეზონანსი, 18/11/2004
53. დოდო ჭუმბურიძე, აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბ., 1999

54. გიორგი ქარაზანიშვილი, საქართველოს კანონმდებლობა და რეკლამის სამართლებრივი რეგულირება // ბიზნესი და კანონმდებლობა, 2008, აპრილი,
55. ნანა ქადაგიშვილი, კონსტიტუციისა და ეროვნული კონვენციის წინააღმდეგობა // 24 საათი, 14.12.2005
56. თამაზ შავგულიძე, ენის საკანონმდებლო სტატუსი // ლიტერატურული საქართველო, 21.01.1989
57. თინათინ შარაძენიძე, სახელმწიფო ენა // მნათობი, 1990, #1
58. ელენორა ჩუბინიძე, სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკა ირანში მე-20 ს-ის მიწურულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში // ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, 2016, #9
59. ბადრი ცხადაძე, სახელმწიფო ენა, სალიტერატურო-სამწერლობო ენა და ენობრივი დეკულტურიზაცია // სვეტიცხოველი, 2011, # 2
60. ბადრი ცხადაძე, ენობრივი და საქმიანი კომუნიკაციის გასაჭირი // სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის პრობლემები, 2014, #3
61. სოფიკო ჭავჭავაძე, 1918-20 წლების ენობრივი კანონმდებლობა აფხაზეთის ავტონომიაში // იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 2016, #44
62. სოფიკო ჭავჭავაძე, 1918-1920 წლების ენობრივი კანონმდებლობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში // ქართველური მემკვიდრეობა, 2015, # 19
63. თამაზ ჭილაძე, საქართველოს სახელმწიფო ენა // მნათობი, 2002, #1-2
64. ანანია ჯაფარიძე, სახელმწიფო ენა - საქართველოს მოსახლეობის ინტეგრაციის , სამოქალაქო-საზოგადოებრივი ერთიანობის მიღწევისა და კონფლიქტების დარეგულირების საშუალება // სვეტიცხოველი, 2014, # 2
65. ხვიჩა ჯოჯუა, რამდენ ენაზე ვსაუბრობთ ქართველები // ქვაკუთხედი, 2008, ## 4,5
66. თედო ჯორბენაძე, მითები და რეალობა „თურქულ უბანზე“ // ბათუმელები, 2017, #6
67. ვ.ი. ლენინი, საჭიროა თუ არა სავალდებულო სახელმწიფო ენა?, თხზულებანი, ტ. 20, თბ., 1951

II. კვლევის შედეგები:

თანამედროვე მსოფლიოს ლინგვისტურ სურათს დინამიკაში თუ განვიხილავთ აღმოვაჩენთ ჩვენთვის - ქართველებისთვის და ქართული ენისთვის სამწუხარო რეალობას: ერთ მხარეს თავს იყრის ძლიერი ენები მხარდი მოლაპარაკეთა რიცხვით და გამოყენების მხარდი ფუნქციონალური არეთი, ხოლო მეორე მხარეს ენები, რომელთაც ფუნქციები ეკარგება და კლებულობს მასზე მოლაპარაკეთა რიცხვიც. ჩვენ, სამწუხაროდ, მეორე კატეგორიაში ვართ, როგორც ქართული ენის ფუნქციური არის შეზღუდვით, ასევე მასზე მოლაპარაკეთა რიცხვის შემცირებითაც.

2000 წელს, გერმანიაში, ლინგვისტებმა შეიმუშავეს ენის განადგურების საფრთხის სტადიები, რომლის მიხედვითაც:

პირველ სტადიას წარმოადგენს კრიტიკულად საფრთხეში მყოფი ენა, როცა მასზე საუბრობს დიდი ბებია-ბაბუის თაობა - 70 წლისები და ზევით;

მეორე სტადიაა მკაცრად საფრთხეში მყოფი ენა, როცა ამ ენაზე საუბრობს ბებია-ბაბუის თაობა - 40 წლისები და ზემოთ;

მესამე სტადიაა საფრთხეში მყოფი ენა, საუბრობს მშობლები - 20 წლისები და ზემოთ;

მეოთხე სტადია წარეცხვის, წაშლის სტადია, საუბრობს მოზარდთა და ბავშვთა მხოლოდ ნაწილი;

მეხუთე სტადია სტაბილური, მაგრამ მუქარის ქვეშ მყოფი ენა, საუბრობს ყველა მოზარდი და ბავშვი, მაგრამ ისინი რიცხობრივად ცოტანი არიან.

იუნესკო იზიარებს ამ კლასიფიკაციას და უმატებს განადგურებული ენის კატეგორიას, ანუ ისეთ ენის კატეგორიას, რომელზედაც აღარავინ აღარ ლაპარაკობს.

მეცნიერებმა დაადგინეს აგრეთვე, ენის სიკვდილის შემდეგი სამი სიმპტომი:

1. მოსაუბრეთა შემცირებული რიცხვი;
2. ენის რეალიზაციის შემცირებული სფეროები;
3. ენის სტრუქტურული გამარტივება.

როგორც ვხედავთ ენის სიკვდილის ერთ-ერთი სიმპტომი ენის რეალიზაციის შემცირებული სფეროებია. სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნეთ, ქართული ენის ფუნქციური არე შეზღუდულია, როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ქართული ენა, როგორც საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა, განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებს, რაც დადასტურდა სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის მიღებით (2015 წ.), რომელიც არეგულირებს ქართული ენის გამოყენებისა და დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს. თუმცა, ამ კანონით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეული - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, რომელსაც სახელმწიფო ენის სამართლებრივად დამცავი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების დაცვა ევალება, ორი წლის დაგვიანებით, ეხლახანს შეიქმნა. ასეთ ვითარებაში, **აქტუალურ პრობლემად** იქცა, ზოგადად ქართული ენის დაცვის საკითხი. ენის გამოყენების ერთ დიდ სფეროს წერითი მეტყველება წარმოადგენს, წერით მეტყველებაში კი საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილ განცხადებებს, სასაბუთო წარწერებს, პლაკატებს, აბრებს, აფიშებს, რეკლამებს და სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მიუხედავად იმის, რომ საქართველოს კანონმდებლობა ადგენს აღნიშნული წარწერების რეგულაციებს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით ამ რეგულაციების უხეშ დარღვევებს. ჩვენი კვლევა საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილ განცხადებებზე, სასაბუთო წარწერებზე, პლაკატებზე, აბრებზე, აფიშებზე, რეკლამებზე და სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტებზე ქართულ ენაზე წერითი მეტყველებისას სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგულაციების დარღვევების შესწავლა-ანალიზს და ამ დარღვევების შედეგად ქართული ენის შეზღუდვის შემთხვევებისა და ეხება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ისე როგორც მთელ საქართველოში, საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილ განცხადებებზე, სასათაურო წარწერებზე, პლაკატებზე, აბრეზებზე, აფიშებზე, რეკლამებზე და სხვა ვიზუალური ინფორმაციისთვის განკუთვნილ ტექსტებზე უხეზად ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ:

- ა) 2015 წლის 22 ივლისის საქართველოს კანონის სახელმწიფო ენის შესახებ, 24-ე მუხლი, 25-ე მუხლის მე-3, მე-5, მე-6 პუნქტები;
- ბ) 1998 წლის 18 თებერვლის საქართველოს კანონის რეკლამის შესახებ, მე-4 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-2¹, მე-3, მე-4 პუნქტები, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი;
- გ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 144¹⁰-ე მუხლი.
- დ) 2004 წლის 23 დეკემბრის საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, 51¹-ე მუხლი.

აღნიშნული დარღვევების გამო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ისე როგორც მთელ საქართველოს, წერით მეტყველებაში, ქართული ენის ფუნქციური არე უკიდურესადაა შეზღუდული, უპირველესად ინგლისური ენით, თუმცა, გვხვდება სხვა ენებით შეზღუდვებიც, კერძოდ რუსულით, თურქულით, არაბულით და სხვა. ენის რეალიზაციის სფეროების შემცირება კი მეცნიერთა მიერ მიჩნეულია ენის სიკვდილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიმპტომად. ეს კი მიგვანიშნებს, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა - ქართული ენა, კრიტიკულად საფრთხეში მყოფი თუ არა, განადგურების მუქარის ქვეშ **მყოფ ენას წარმოადგენს**.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ზემო აჭარის მუნიციპალიტეტებში გაცილებით ნაკლებად ირღვევა საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ ვიდრე ბათუმსა და ქობულეთში.

ბათუმში პროცენტულად ყველაზე მეტი დარღვევა ბულვარში დაფიქსირდა.

მივყვეთ მუხლობრივად და ვაჩვენოთ რომელი მუხლით რაა გათვალისწინებული და რა ტიპის დარღვევებთან გვაქვს საქმე. საქართველოს კანონის სახელმწიფო ენის შესახებ 24-ე მუხლის მიხედვით: „*საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასათაურო წარწერის, პლაკატის, აბრის, აფიშის, რეკლამის, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტი სახელმწიფო ენაზე სრულდება. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია შეიძლება მიეთითოს არასახელმწიფო ენაზედაც,*


ხოლო იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, – აგრეთვე ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე“. როგორც ვხედავთ, ამ მუხლის მიხედვით საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასაბუთო წარწერის, პლაკატის, აბრის, აფიშის, რეკლამის, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტი სახელმწიფო ენაზე ანუ ქართულ ენაზე უნდა სრულდებოდეს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, იგივე ინფორმაცია, შესაძლებელია მიეთითოს არასახელმწიფო ენაზეც.

მაშასადამე, საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ მოითხოვს, რომ საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასაბუთო წარწერის, პლაკატის, აბრის, აფიშის, რეკლამის, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტი აუცილებლად შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე...„

ხოლო საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასაბუთო წარწერის, პლაკატის, აბრის, აფიშის, რეკლამის, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტის შემდგენის ინტერესებში შედის, რომ ტექსტი სახელმწიფო ენის გარდა სხვა ენაზეც იქნას შესრულებული **მისი პოპულარიზაციის მიზნით**. რის გამოც, შემოაქვს ასეთი რეგულაცია: საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მისი არასახელმწიფო ენაზეც წარმოდგენა. კანონი არ აზუსტებს იმას თუ რას გულისხმობს „საჭიროების შემთხვევა“, ასეთი შემთხვევების განსაზღვრას კანონმდებელი სამართლის სუბიექტებს ანდობს ანუ არ ზღუდავს მას იმის განსაზღვრაში თუ რას ჩათვლის იგი „საჭიროების შემთხვევად“. რაც შეეხება არასახელმწიფო ენას, კანონი არასახელმწიფო ენას უწოდებს სახელმწიფო ენის გარდა, ნებისმიერ სხვა ენას, რომლითაც საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მცხოვრები სხვა პირები პირად ცხოვრებაში თუ საჯაროდ სარგებლობენ.

კვლევამ აჩვენა, რომ კანონის ეს მოთხოვნა უმრავლეს შემთხვევაში არ სრულდება, ჩვენს ქალაქში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება შეხვდეთ საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილ განცხადებას, შეტყობინებას, სასაბუთო წარწერას, პლაკატს, აბრას, აფიშას, რეკლამას და სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტს, რომელიც მხოლოდ უცხო ენაზეა შესრულებული და არაა

გამოყენებული სახელმწიფო ენა, რითაც, ბუნებრივია, იზღუდება ქართული ენის გამოყენების სივრცე. მოვიტანოთ მაგალითი (სრული ფოტომასალა ანგარიშს ელექტრონული ფორმით თან ერთვის):



იმ შემთხვევაში თუ საჭიროდ ჩაითვალა საჯარო ინფორმირებისთვის ტექსტის არასახელმწიფო ენაზეც განთავსება, სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით დაცული უნდა იქნას შემდეგი მოთხოვნები:

ა) თუ სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი და არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება ერთმანეთის გვერდიგვერდ მაშინ წინ, ანუ მარცხნივ თავსდება სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი, ხოლო შემდეგ, მარჯვნივ, არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი;

ბ) თუ სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი და არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება ზემოთ და ქვემოთ, მაშინ ზევით თავსდება სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი, ხოლო ქვევით არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი.

ამ მოთხოვნების დაცვით გაკეთებულ წარწერებს რა თქმა უნდა შეხვდებით, ოღონდ მათი რიცხვი გაცილებით ნაკლებია ვიდრე ამ მოთხოვნების დარღვევით შესრულებული წარწერებისა.

რაც შეეხება დარღვევების კლასიფიკაციას გვხვდება ყველანაირი დარღვევა, კერძოდ:

ა) ზევით და ქვევით ან მარცხნივ და მარჯვნივ უცხო ენოვანი წარწერაა, შუაში ქართულენოვანი, თანაც ზოგჯერ ქართულდა სხვა რამ წერია, უცხოურად სხვა:



ბ) ფირმის ან ობიექტის დასახელება არასახელმწიფო ენაზეა მოცემული, სხვა ინფორმაცია სახელმწიფო ენაზე:

გ) ზევით სახელმწიფო ენის ნაცვლად განთავსებულია წარწერა არასახელმწიფო ენაზე:



ე) წინ, ანუ მარცხნივ არასახელმწიფოენოვანი წარწერაა, ხოლო შემდეგ, მარჯვნივ სახელმწიფოენოვანი:



მართალია, კანონი ჩამონათვალში არ ასახელებს ბილბორდს, მაგრამ იგი იგივე აბრაა ან რეკლამაა, ამიტომ ბილბორტთან მიმართებაშიც დაცული უნდა იქნას კანონში მითითებული მოთხოვნები. სამწუხაროდ, ბილბორდებზე გამორჩეულად ცუდი სურათია, მათ აბსოლუტურ უმრავლესობაზე წარწერები გაკეთებულია სახელმწიფო ენის შესახებ კანონის დარღვევით. აქ შეხვდებით კანონში გაწერილი თითქმის ყველა მოთხოვნის დარღვევას:



საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ 25-ე მუხლის მე-6 პუნქტი, აღნიშნავს, რომ არასახელმწიფო ენასთან მიმართებაში, სახელმწიფო ენა არ უნდა ჩავარდეს უარეს მდგომარეობაში და ამბობს: „არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი სახელმწიფო ენაზე შესრულებულ ტექსტთან ერთად გამოყენებისას არასახელმწიფოენოვანი ტექსტის შრიფტი სახელმწიფოენოვანი ტექსტის შრიფტზე დიდი არ უნდა იყოს“. როგორც ვხედავთ, აღნიშნული დანაწესი, მე ვიტყვოდი სამწუხაროდ, უპირატეს მდგომარეობაში არ აგდებს სახელმწიფო ენას, განსხვავებით ესტონური კანონისგან, რომლის მიხედვით მანიშნებლებზე და სარეკლამო აბრეშზე ესტონურ ენაზე ტექსტი უნდა იყოს მთავარ ადგილას და უკეთესად უნდა ჩანდეს, ვიდრე უცხოურ ენაზე განთავსებული ტექსტი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კანონი არ მოითხოვს სახელმწიფო ენისთვის განსხვავებული შრიფტის გამოყენებას და ითხოვს მათი თანაბარი ზომის შრიფტით გამოსახვას, მაგრამ კანონის ეს მოთხოვნაც ირღვევა ხშირ შემთხვევაში:



საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი მოითხოვს, რომ არასახელმწიფო ენაზე შესრულებული წარწერა არათუ ზომით, რაოდენობითაც არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას „უცხო ენაზე შესრულებული წარწერა

ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას“. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევებიც ხშირად შეინიშნება.



განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოში არასახელმწიფო ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) განთავსება. საქართველოს კანონის სასაქონლო ნიშნების შესახებ მე-3 მუხლი სასაქონლო ნიშანს

უწოდებს სიმბოლოს ან სიმბოლოთა ერთობლიობას, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან. ამავე მუხლით, სიმბოლო შეიძლება იყოს: სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე ადამიანის სახელი; ასოები; ციფრები; ბგერები; გამოსახულება; სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის, საქონლის ფორმა ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვით: „საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე“. მაშასადამე, ქართული კანონმდებლობა მოითხოვს, რომ სასაქონლო ნიშნები (სიმბოლოები) ითარგმნოს ქართულ ენაზე და ისე განთავსდეს, რასაც ჩვენთან განთავსებული ბრენდები არ აკეთებენ და არღვევენ კანონს.



1. საქართველოს კანონის რეკლამის შესახებ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით:

„ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი“.

IV. რეკომენდაციები:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს რომელიმე კომიტეტში შეიქმნას სტრუქტურა ქვეკომიტეტის სახით სახელმწიფო ენის შესახებ ან შესაბამის კომიტეტის უფლებამოსილებებს დაემატოს სახელმწიფო ენის დაცვის პოლიტიკის საკითხი;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ან სულაც დამოუკიდებლად შეიქმნას სახელმწიფო ენის საკითხებთან დაკავშირებით, სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო ენის დეპარტამენტის უფლებების მქონე სტრუქტურა, რომელიც შესაძლებელია სტრუქტურულად საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტს დაექვემდებაროს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ 2017 წლის 11 დეკემბრის საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დებულების მე-5 მუხლში, რომელიც ეხება დეპარტამენტის სტრუქტურას აჭარა მოხსენიებული არაა;
3. ვფიქრობთ, ზემოთშემჩნეული დარღვევების აბსოლუტური უმრავლესობა სამართლებრივი ნორმების უცოდინრობიდან მომდინარეობს ანუ საქმე გვაქვს სამართლებრივი ცნობიერების დაბალ დონესთან, რის გამოც საჭიროდ მიგვაჩნია:
 - ა) ტელევიზიით, გაზეთით და სხვა საინფორმაციო საშუალებებით მეტი სამართლებრივი ხასიათის ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის აღნიშნულ საკითხზე, ასე ვთქვათ, მათი სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება;

ბ) რეკლამის მწარმოებელთა (სარეკლამო კომპანიების) და გამავრცელებელთა გადამზადება სხვადასხვა სახის ტრეინინგების საშუალებით, თუ მთავრობა დაინტერესდება ამ საკითხით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით, ამის გაკეთება იურიდიული ფაკულტეტის ბაზაზე შეიძლება;

გ) მოსაფიქრებელია რეკლამის შემკვეთებთან სამუშაოს ფორმაც;

4. კარგი იქნება თუ სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლში ჩამონათვალს დაემატება სიტყვები „**მათ შორის სატრანსპორტო საშუალებებზე**“, და ეს მუხლი მიიღებს ასეთ სახეს:

„მუხლი 24. საჯარო ინფორმირების ენა

საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასათაურო წარწერის, პლაკატის, აზრის, აფიშის, რეკლამის, სხვა ვიზუალური, **მათ შორის სატრანსპორტო საშუალებებზე**, ინფორმაციის, ტექსტი სახელმწიფო ენაზე სრულდება. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია შეიძლება მიეთითოს არასახელმწიფო ენაზედაც, ხოლო იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, – აგრეთვე ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე.

5. მიგვაჩნია, რომ ბუნდოვანია რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ჩამოყალიბებულია ასე:

„რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო (!!!) საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე“.

6. ვფიქრობთ საქართველოს კანონის რეკლამის შესახებ მე-4 მუხლის მე-2¹ პუნქტს, რომელიც კანონში ცვლილების წესთაა მიღებულია 2013 წელს, უნდა დაემატოს 2015 წელს მიღებული სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონიდან ასეთი ჩანაწერი „*სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტის წინ (მარცხნივ ან ზევით) თავსდება*“:
- „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სურვილის შემთხვევაში იგი შეიძლება შესრულდეს აგრეთვე უცხოურ ენაზე. უცხოენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას *და სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტის წინ (მარცხნივ ან ზევით) უნდა განთავსდეს*“.
7. ვფიქრობთ, სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლში ვკითხულობთ „*საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასაბუთო წარწერის, პლაკატის, აბრის, აფიშის, რეკლამის, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტი სახელმწიფო ენაზე სრულდება. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია შეიძლება მიეთითოს არასახელმწიფო ენაზედაც, ხოლო იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, – აგრეთვე ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე*“. თუ გავითვალისწინებთ, რომ არასახელმწიფო ენას კანონი უწოდებს სახელმწიფო ენის გარდა, ნებისმიერ ენა, რომლითაც საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მცხოვრები სხვა პირები პირად ცხოვრებაში თუ საჯაროდ სარგებლობენ, მაშინ ძალიან მრავლდება ისეთი უცხოენოვანი წარწერები, რომელთა მესვეურებს აჭარაში სხვადასხვა ინტერესები ამოძრავებთ, მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი:







ენა კი, მოგეხსენებათ, ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღია, რბილად რომ ვთქვათ, ამ იდეურ პაექრობაში. ამის დასტურად ირანის მაგალითიც შეიძლება მოვიტანოთ, სადაც არაბული ენა რელიგიური ურთიერთობის ენიდან თანდათანაბრით იქცა მნიშვნელობით მეორე საურთიერთობო ენად¹.

ყოველივე ამის გამო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სიტყვა „არასახელმწიფოს“ შეცვლა სიტყვით „საერთაშორისო“ და მოცემული ნორმის შემდეგნაირად ჩამოყალიბება:

„საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასათაურო წარწერის, პლაკატის, აზრის, აფიშის, რეკლამის, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტი სახელმწიფო ენაზე სრულდება. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია შეიძლება მიეთითოს **საერთაშორისო** ენაზედაც, ხოლო იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, – აგრეთვე ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე.

8. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 თავი, რომელიც ორი პუნქტისაგან (38-ე, 39-ე) შედგება, მთლიანად ეძღვნება სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის პასუხისმგებლობას, მასში არაა განსაზღვრული კანონით დადგენილი რეგულაციების დარღვევისთვის კონკრეტული პასუხისმგებლობა და კანონი შემოიფარგლება მხოლოდ ასეთი ზოგადი მითითებით - ამ კანონის დარღვევისათვის პირი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ეს იმდენად ზოგადი მითითებაა, რომ მისი დაკონკრეტება და ამა თუ იმ დარღვევისთვის შესაბამისი სანქციის მოძიება განსწავლული იურისტისთვისაც არაა იოლი საქმე. ამიტომ, გაუგებარია რატომ არიდებენ თავს სანქციების უშუალო მითითებას, მით უფრო, რომ სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტი სანქციებს ითვალისწინებდა. **აქ ჩავდო პროექტი რას ითვალისწინებდა.** იმედი მქონდა რომ დამრღვევების მიმართ რეგულაციებს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის

¹ რუსუდან რამიშვილი, ენობრივი პოლიტიკა ირანში // ტერმინოლოგიის საკითხები, 2014, #1, გვ. 145

დებულება დაადგენდა, მაგრამ აქაც დეპარტამენტის ფუნქცია ამ მიმართულებით, მხოლოდ ზოგადი მითითებებით შემოიფარგლა, კერძოდ, „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის დამრღვევის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების მოთხოვნით მიმართვით ამოიწურა. დებულების მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი.

თუ კანონმდებელი ახალ რეგულაციებს არ ადგენს, მაშინ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბლანკეტური დისპოზიციის გზით მაინც მიუთითოს შესაბამის ნორმებზე, ან უცვლელად გადმოიტანოს ნორმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსიდან, რომლის 159¹ მუხლის მიხედვით არასათანადო რეკლამის განთავსება (გავრცელება), - გამოიწვევს ფიზიკური პირების დაჯარიმებას განთავსებული (გავრცელებული) რეკლამის სრული ღირებულების ოთხმაგი ოდენობით, იურიდიული პირებისა და დაწესებულებებისა – განთავსებული (გავრცელებული) რეკლამის სრული ღირებულების შვიდმაგი ოდენობით. ოღონდ აქ დაინტერესებული პირის ოსტატობაზეა დამოკიდებული, რამდენად მოახერხებს იგი საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილ განცხადებას, შეტყობინებას, სასათაურო წარწერას, პლაკატს, აბრას, აფიშას, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტს რეკლამად, მით უფრო არასათანადო რეკლამად ჩათვლის, რადგან კანონის ამ ჩამონათვალში სიტყვა რეკლამაც ფიგურირებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელი ანსხვავებს რეკლამას და განცხადებას, შეტყობინებას, სასათაურო წარწერას, პლაკატს, აბრას, აფიშას, სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტს ერთმანეთისაგან. რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით რეკლამა არის საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში-საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.

თუ მოხერხდა ენის შესახებ კანონით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის შემცველი წარწერის არასათანადო რეკლამად აღიარება, ეხლა არასათანადო რეკლამის განსაზღვრებაში რა ადგილს იჭერს იგი? რეკლამის შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი გვეუბნება რომ არასათანადო რეკლამა არის არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური, შეცდომაში შემყვანი ან

სხვა რეკლამა, რომელშიც დარღვეულია მისი შინაარსის, დროის, ადგილის ან გავრცელების წესის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. ჩვენი აზრით გავრცელების წესის დარღვევაში შეიძლება განვიხილოთ აღნიშნული დარღვევა და პასუხისმგებლობა განვსაზღვროთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159¹ მუხლით.

საბედნიეროდ, რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი აღნიშნული პასუხისმგებლობის დაკისრებით რეკლამის დამკვეთს, მწარმოებელსა და გამავრცელებელს არ ათავისუფლებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისაგან და კონტრერეკლამის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების შესრულებისაგან.

ვფიქრობთ, ამდენი ოპერაციის ჩატარებას, საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ენის შესახებ საქართველოს კანონში აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული კონკრეტული სანქციები კონკრეტულ დარღვევებზე, თანაც ცოტა უფრო მკაცრი ვიდრე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159¹ მუხლი ითვალისწინებს;

9. ვფიქრობთ ენის შესახებ საქართველოს კანონის 41-ე მუხლს უნდა დაემატოს კანონის უკუძალის დამდგენი ჩანაწერი, რადგან საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ მიღებულია 2015 წლის 22 ივლისის, საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ 1998 წლის 18 თებერვლს, ხოლო, საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, 2004 წლის 23 დეკემბრს. ვფიქრობთ უკუძალის შესახებ ჩანაწერის გარეშე გამწვანდება იმ დარღვევებთან ბრძოლა ამ კანონების მიღებამდე რომ მოხდა. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს;

10. თითოეული ჩვენთაგანის მხრიდან ქართული დამწერლობისადმი უდიდესი პატივისცემის გამომხატველი იქნება თუ ჩვენს კომპიუტერზე ქართულ შრიფტს გამოვიტანოთ პირველ ადგილზე და რომ ჩავრთავთ კომპიუტერს ქართულად დაიწყოს მუშაობა, თუ დაგვჭირდა გადავიყვანოთ სხვა ენაზე, ვთქვათ ინგლისურზე. ახლა პირიქით გვაქვს კომპიუტერი მუშაობას იწყებს ინგლისურით და ჩვენ გადაგვყავს ქართულზე. ეს მომენტი უნივერსიტეტში მაინც რომ დაინერგოს კარგი იქნება.

III. შედეგები:

1. პროექტით გათვალისწინებული შედეგები

- ა) გასწორდება სამართლის ნორმების დარღვევით განთავსებული საჯარო ინფორმირებისთვის განკუთვნილი წარწერები;
- ბ) სახელმწიფო ენის შესახებ კანონმდებლობის დაცვისთვის ხელშეწყობა საჯარო ინფორმირების სივრცეში აჭარის მასშტაბით;
- გ) სახელმწიფო ენაზე საჯარო ინფორმირებისთვის საჭირო სამართლებრივი ნორმების პოპულარიზაცია;
- დ) სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობისათვის ხელშეწყობა;
- ე) სათანადო პოპულარული ლიტერატურის გავრცელება.

2. რეალური რეზულტატი

- ა) გასწორდება სამართლის ნორმების დარღვევით განთავსებული საჯარო ინფორმირებისთვის განკუთვნილი წარწერები - ჩვენ აღვნიშნეთ აღნიშნული დარღვევები, დავადგინეთ როგორ უნდა დაიწეროს კანონის დაცვით, დამრღვევებს დავურიგეთ მასალა, რომელშიც მოცემულია საჯარო ინფორმირებისთვის ვიზუალური მასალის გამოქვეყნებისთვის საჭირო სამართლის ნორმები, ასევე ჩვენ მიერ აღნუსხულ დარღვევებს გადავცემთ ქალაქისა და მუნიციპალიტეტების მერიებს, რომლებიც ალბათ იზრუნებენ დარღვევით განთავსებული წარწერების გასწორებაზე. სხვა ფუნქციას ჩვენ ვერ შევასრულებდით, უბრალოს ჩვენს კომპეტენციაში არ შედიოდა; ვიძლევიან რეკომენდაციებს
- ბ) სახელმწიფო ენის შესახებ კანონმდებლობის დაცვისთვის ხელშეწყობა საჯარო ინფორმირების სივრცეში აჭარის მასშტაბით - ბუნებრივია ჩვენი გრანტის მნიშვნელოვანი შედეგი და ღირებულება სწორედ იმაშია, რომ იგი თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს სახელმწიფო ენის შესახებ კანონმდებლობის დაცვაში აჭარის მასშტაბით და ხელს შეუწყობს საჯარო ინფორმირებისთვის ვიზუალური

ინფორმაციის ქართულ ენაზე გადაყვანას. ყოველ შემთხვევაში ამ საქმის ერთ-ერთი პირველი წამომწყები და ინიციატორი იქნება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

გ) სახელმწიფო ენაზე საჯარო ინფორმირებისთვის საჭირო სამართლებრივი ნორმების პოპულარიზაცია - დამზადდა და დარიგდა სახელმწიფო ენაზე საჯარო ინფორმირების მარეგულირებელი ნორმების შემცველი ბუკლეტი; სოციალური ქსელით, გაზეთით, რადიოთი მოხდა სახელმწიფო ენაზე საჯარო ინფორმირებისთვის საჭირო სამართლებრივი ნორმების პროპაგანდა და პოპულარიზაცია;

დ) გრანტის ფარგლებში დამუშავდა ორი სამეცნიერო სტატია სათაურებით - „ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის საჯარო ინფორმირებისთვის გამოყენების პრაქტიკა და სამართლებრივი შეფასება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“; „სახელმწიფო ენის სამართლებრივი რეგულირება საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყნაში“;

ე) გრანტის ფარგლებში დამუშავდა 70-მდე სამეცნიერო ხასითის ლიტერატურა - ამ ლიტერატურის ჩამონათვალი გრანტს თან ერთვის, რაც შეიძლება გამოადგეთ ამ თემით დაინტერესებულ მკვლევრებს;

ვ) მივლინებებში დაიხარჯა 4200 ლარი - განხორციელდა მივლინებები აჭარის მასშტაბით და ქალაქ თბილისში, პრაქტიკულად აჭარის ყველა სოფელში მივედით, ყველგან ვნახეთ როგორ იყენებენ სოფლებშიც კი საჯარო ინფორმირებისთვის სახელმწიფო ენას;

ზ) შევიძინეთ ლეპტოპი და საკანცელარიო ნივთები ჯამში 800 ლარი - ლეპტოპსაც და საკანცელარიო ნივთებსაც იურიდიული ფაკულტეტი იყენებს;

თ) ხელფასებში დაიხარჯა 4200 ლარი - 4 პერსონალზე 6 თვის განმავლობაში;

ი) გასახარჯია 940 ლარი - დაგეგმილი გვაქვს იანვრის თვეში ბროშურის გამოცემა - 500 ლარი და პრეზენტაციის გამართვა - 200 ლარი; გაუთვალისწინებელი ხარჯები - 200 ლარი, გაზეთში ინფორმაციისთვის - 40 ლარი, (გათვალისწინებული იყო - 100 ლარი, დაჯდა - 60 ლარი);

პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

თარიღი: _____